

SKYE Net - Skills and Knowledge for Youth Empowerment Network

განხორციელების ვადა: 01.07.2023 - 30.06.2025

EaP ქვეყნები:

მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი

ევროკავშირის € 953 375

წვლილი:

მთლიანი € 1 039 506

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

World Vision Deutschland, World Vision Armenia Child Protection Foundation (WVA CPF), IRIS Business Incubator Foundation (IRIS BI) (based in Armenia),

პროექტის worldvision.ge/

ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების, განსაკუთრებით მოწყვლადი ახალგაზრდების, აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ, დემოკრატიულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი ციფრული, სოციალური მენარმეობისა და კარიერული მართვის უნარების განვითარების გზით. ამასთანავე, პროექტი მხარს უჭერს ახალგაზრდა სოციალურ მენარმეებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისკენ, ციფრული და მწვანე ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში. მიზანი 1 ითვალისწინებს ახალგაზრდა სოციალური მენარმეების და მათი სტარტაპების მხარდაჭერას, მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე ფოკუსირებით და ასევე ბიზნესის განვითარების უკვე არსებული პროგრამების/მესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათზე წვდომას. გარდა ამისა, მიზანი 2 ითვალისწინებს "SKYE Net" ტრანსნაციონალური პლატფორმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებით მწვანე და ციფრული მიდგომებისა და ტრანსფორმაციის შესახებ. პლატფორმა აერთიანებს სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო სექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამი ქვეყნიდან.



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/WorldVisionInGeorgia,
instagram.com/worldvisiongeorgia/
youtube.com/@WorldVisionGeorgiia

მოსალოდნელი შედეგები:

- სამიზნე არეალში მცხოვრები 300-ზე მეტი ახალგაზრდა გაეცნო სოციალური მენარმეობის საფუძვლებს, მიზნებსა და წარმატებულ მაგალითებს; ახალგაზრდები მოტივირებული არიან და სურთ პროექტში მონაწილეობის მიღება.
- 180-მა ახალგაზრდამ შეიძინა მენარმეობისთვის საჭირო უნარები და ისწავლა იდეების წარდგენა/ფიჩინგი; მონაწილეთა მინიმუმ 70%-მა შეიმუშავა ბიზნეს მოდელები ბიზნეს ტრენერის /ქოუჩის ხელმძღვანელობით.
- 30-მა სოციალური საწარმოს ბიზნეს მოდელმა, რომელიც ორიენტირებულია სასიკეთო ცვლილებების მოტანაზე, მიიღო ქვეგრანტი.
- შეიქმნა სოციალური მენარმეობის სახელმძღვანელო.
- შეიქმნა 25 SKYE ახალგაზრდების უნარების და კომპეტენციების გაძლიერების კლუბი მოლდოვაში (5), სომხეთში (10), საქართველოში (10).